№ 110, მაისის 28, სამშაბათი. 1866—1885 მაისის 28, სამშაბათი. № 110.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით— 8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.

ვინც ხვედრ ფულს არ შემოიტანს, ივნისის პირველიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ქუთაისი, მაისის 23-ს.

დღეს დაიწყეს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება. ფიცი თავად-აზნაურობამ მიიღო სობოროში და შემდეგ შეუდგნენ საქმეს. მეკენჭეთა სიაში შერიცხეს რამოდენიმე პირნი, რომელნიც ამ სიაში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ ჩაეწერათ. კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობასთან პატიება რამოდენიმე თავად-აზნაურთა, რომელნიც სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის დღეს ეგზორიად არიან გაგზავნილნი. შეწყნარებულ იქმნა აგრეთვე თხოვნა ათონის ბერებისა: თავად-აზნაურობამ უნდა სთხოვოს, სადაც ჯერ არს, ააჩქარონ დავის გათავება ივერიის მონასტერზე ქართველთ ბერებისა და ბერძნების შუა. ეს დავა, როგორც მკითხველებმა იციან, აგერ რამდენიმე წელიწადია რაც დაწყებულა, და გათავება-კი არ ეღირსა. იმედი აქვთ—გათავდება ქართველების სასარგებლოდ და ამისათვის ითხოვენ საქმის აჩქარებას. ან რატომ არ უნდა იყოს ასე? დღემდისაც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია: — რა საბუთის ძალით დაისაკუთრეს ბერძნებმა ეს დიდებული ქართველთა ტაძარი, ერთს დროს სიქადული მთელის საქართველოს ერისა.

ამას გარდა კრებამ გადასწყვიტა, თუ ვინიცობაა გაუქმდეს გურიის ეპარქია, მაშინ ითხოვონ გურია შემოუერთდეს იმერეთს და არა სხვა რომელსამე ეპარქიას.

უველაზე უფრო მეტი ლაპარაკი და ბაასი აღძრა შემდეგმა საქმემ: ბ-ნი გუბერნატორი სწერს კრებას, რომ „დეპუტატთა კრება“ აღარ შეინახება მთავრობის ხარჯით და თითონ თავად-აზნაურობამ უნდა იზრუნოს მის შენახვისათვისაო. შეიქმნა უშველებელი დავიდარაბა ფულის გაწერის თავობაზე ზოგს უნდოდა სამის წლით გაწერა და ზოგს-კი მოეწონა აკაკის აზრი ერთბაშად თანხის შედგენისა და ამ თანხის სარგებლით „დეპუტატთა კრების“ შენახვისა. ეს თანხა შეიძლებოდა დღითი-დღე გადიდებულიყო და მისი სარგებლით, გარდა „დეპუტატთა კრების“ შენახვისა, მისცემოდა ჯამაგირები მარშლებს და ან სხვა რამ სასარგებლო საქმეზე მოხმარებულიყო. მაგრამ ეს სასარგებლო წინადადება ჩვენის პოეტისა უარ-ჰყვეს და მიიღეს სამი წლით ფულის გაწერა „დეპუტატთ კრების“ შენახვისათვის.

უველაზე უფრო შესანიშნავი სხდომა იყო დღეს, მაისის 23-ს. ამ სხდომაზე კანდიდატად გუბერნიის წინამძღოლისა დაასახელეს უველასაგან პატივცემული დიმიტრი ყიფიანი. აკაკიმ თავის სიტყვაში ჩამოსთვალა ღირსებანი პატივცემულის კანდიდატისა.

დიალაცაო, სთქვა ალმასხან ნიჟარაძემ, დღეს ჩვენ გვეჭირვება სწორედ ნასწავლი, პატიოსანი და გამჭრიახი კაციო. არა ვგონებ, ჩვენთაგანმა ვინმემ უარი სთქვას დ. ყიფიანის მარშლობაზედაო. მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ალმასხან ნიჟარაძის სიტყვამ. მაგრამ თ. კოწია დადიანის სიტყვაც მეტად მარილიანი და საგულისხმო იყო. კოწია დადიანმა სამეგრელოს სახელით თანაუგრძნო ამ კანდიდატურას. ჩვენ, მეგრელები იგივე ქართველნი ვართო; ჩვენ გვეჭირვება მამულისათვის ერთგული კაცი და არავითარი საშუალება არ უნდა დავზოგოთ იმისთვის, ვისაც შეუძლიან ცოტად თუ ბევრად ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის დროს დახმარებაო. ჩვენ ცოლი და შვილი არ დაგვიზოგნია მამულისათვის და ფულზე ლაპარაკი რა საკადრისიაო. ეს იყო მოკლედ უმთავრესი აზრი კ. დადიანის სიტყვისა. ტაშის-კვრა ბევრი იყო ამ პირწყალიანი სიტყვისათვის.

ბოლოს გადასწყვიტეს რომ თუ დ. ყიფიანი არჩეულ იქმნა გუბერნიის მარშლად, დაენიშნოს მას ყოველ წლივ 3000 მანათი.

ქუთაისი, მაისის 24-ს.

რაღა დამრჩა სათქმელი წლევანდელ საგუბერნიო თავად-აზნაურთა

სვანეთის სამთავროს გაუქმება *)

1857 წელს ოქტომბრის 22-ს ქუთაისში დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა და სვანეთის მთავრის კონსტანტინე დადიშკელიანის შორის. რომ უფრო ნათლად გამოირკვეს მიზეზი ამ სამწუხარო ამბავისა, საჭიროა სვანეთის მაშინდელი მდგომარეობა აღვწეროთ. ქართული სახელი სვანეთი, ანუ სვანე, ალბად იმისთვის ჰქვიან ამ ქვეყანას, რომ ძველს დროში, როდესაც კავკასიას წამ-და-უწუმ აღელვებდენ გარედამ შემოსეული მტრები, ხალხი აქ იფარავდა თავს და როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს თვით თამარ დედოფალიც აქ ინახავდა თავის საუნჯეს. სვანეთი სამ ნაწილად იყოფება: თავისუფალ, სათავადო და სადადიანო სვანეთად და ორი მდინარე—ინგური და ცხენისწყალი ჰყოფს მათ ერთმანეთისაგან; ამ მდინარეების სათავე ფასის მთიდამ იწყობა, ჯერ თავისუფალ სვანეთზე მომდინარეობენ და მერე-კი სხვა-და-სხვა მხარეს მიდიან: ინგური ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ სათავადო სვანეთზედ მოდის, ხოლო ცხენის წყალი სამხრეთ-დასავლეთისკენ სადადიანო სვანეთზედ; ეს ორივე მდინარე ღრმასა და განიერს ხეობებში მომდინარეობენ და შემდეგ სამეგრელოს ველზედ გამოდიან,—პირველი მდინარე სოფელი ჯვარის ახლო, ხოლო მეორე მურის ციხესთან.

თავისუფალი სვანეთი საშინლად მწირი ადგილია და წელიწადში მხოლოდ სამს თვეს შეიძლება იქ მისვლა-მოსვლა, სინამ მისი ხეობები თოვლით არ არიან შეკრულნი. ამ ქვეყნის მცხოვრებნი სულ თორმეტი საზოგადოებისაგან შესდგება; ესენი გაფანტულნი ცხოვრობენ ღრმა ხეობებში. ამბობენ, რომ ერთი ამ სოფელთაგანი ისეთს ფრიალო კლდეზედ არის გაშენებულიო, რომ მცხოვრებნი თოკით ჩამოეშვებიან ხოლმე ძირსაო. თვითონ თავისუფალ სვანეთსაც სამი გზა აქვს: ერთი სათავადო სვანეთზედ, მეორე სადადიანოზედ და მესამე ყარა-ჩაის მთაზედ გადადის.

სათავადო სვანეთი თავისუფალს სვანეთზედ დაბლა არის, იწყობა მთიანის საძოვრებით და თავდება მინდვრით, რომელზედაც სიმინდი მოდის. სწორედ ამისთანავე ბუნებითს მდგომარეობაშია სადადიანო სვანეთი და ერთად-ერთი გზა სამეგრელოზედ აქვს, რის-გამოც იგი დადიანების გავლენის ქვეშ იყო. სათავადო სვანეთი გადარჩა დადიანების გავლენას იმის გამო, რომ ბუნებამ მისცა მას გზად ინგურის ხეობის გარდა, დალი და წებელდა აფხაზეთის მხრით; ამ გარემოებამ შეუწყო ხელი დადიშკელიანებს გამხდარიყვნენ დამოუკიდებელ მთავრებად. გარდმოცემა ამბობს, რომ იმ ადგილებზედ, რომელზედაც ეხლა თავისუფალი სვანეთის თორმეტი საზოგადოება ცხოვრობს, წინად დადიშკელიანების კასალები ცხოვრობდენო, მაგრამ რადგანაც ერთხელ აჯანყდენ და თავიანთ მთავარი მოჰკლეს, ამისათვის ყველანი თავიანთ ცოლ-შვილით ამოწყვეტილ იქმნენ და დადიშკელიანებმა ამ გავერანებულს ადგილებს თავისუფალი სვანეთი დაარქვესო. მაგრამ, დროს განმავლობით, აქ კვალად დასახლებულან კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდამ გამოქცეულნი, რომელნიც ეხლა ხსენებულს თორმეტს საზოგადოებას შეადგენენ. როდესაც კაცი ამ ველურს ხალხს გაიცნობს დარწმუნდება, რომ ეს გადმოცემა სიმართლეს მოკლებული არ არის. უველა კომკის პატრონს მთელს ქვეყანაზედ თავის-თავზედ მაღლა არავინ მიაჩნია და არც არავის ემორჩილება, უბრალო რამ შემთხვევის გამო მაშინვე იარაღს მიმართავს ხოლმე. ამისათვის აქ ყველამ სისხლის აღება იცის.

ამისთანა მდგომარეობაში იყო ეს ქვეყანა მაშინ, როდესაც სათავადო სვანეთის მთავარმა თენგის დადიშკელიანმა, დადიანისა და შარვაშიძის შემდეგ, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და რუსის ხემწიფისაგან საკმაო ფულს იღებდა. ამ სამივე სამთავროს მთავრებთა შორის საშინელი უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი. აფხაზეთში მთავარ სეფერ-ბეის ჰასანბეი ექიშპებოდა; სამეგრელოში ლევანს—გრიგოლი; სათავადო სვანეთში თენგიზს-თათარყანი და ამ ქიშპოშის მიზეზი იგივე იყო, რაც ისავისა და იაკობის ქიშპორისა, ე. ი. პირველობა: უმცროს ძმას უნდოდა უფროსის ადგილი დაეჭირა. აფხაზეთში ცოტად თუ ბევრად შემცირდა ბრძოლა და ყოველს საქმეში ხანჯალსა და შხამს აღარ ხმარობდენ, სვანეთში-კი სისხლის აღების წესი ისევ სუფევდა და მთავრების სახლის წევრნი ერთი-ერთმანეთს დაუნდობლად ხოცავდენ.

თენგიზის შვილი ციოხი (მიხეილი) კეთილ-გონიერი კაცი იყო და სისხლის აღება არ მოსწონდა, ამასთანავე ძალიან სწუხდა იმის გამო, რომ მას თავის მეზობლებთან უხდებოდა ხოლმე ბრძოლა იმ საძოვარი ადგილებისათვის, რომელნიც მას ეკუთვნოდენ. ამ საძოვარს ადგილებზედ თითქმის ყოველს წელიწადს ხდებოდა ხანჯლის ტრიალი: მეგრელები, აფხაზები და წებელდელები თავიანთ ცხვარს ამ საძოვრებზედ რეკავდენ და უნდოდათ უფასოდ ესარგებლნათ; თავისუფალი სვანები-კი, რომელთაც ცხვარი არა ჰყავდათ, მოდიოდენ აქ

*) გაგრძელება წერილისა „სამეგრელო გუშინ“.

კრებაზე? ის კრებაც ისე კარგად გათავდა, როგორც ბანკის კრება. ჩვენს თავად-აზნაურობას ჰსურს ისევ კარგი წინამძღოლი ჰყავდეს...

ქენჭის ყრის შემდეგ ქუთაისის მაზრის წინამძღოლად ამოირჩიეს თ. ალმასხან ნიჯარაძე (უწინდელი).

შორაპნის მაზრისა—თ. ალ. ბაგრატიონი (უწინდელი).

ოზურგეთის მაზრისა—თ. პ. ნაკაშიძე (მარლაამ ერისთვის მაგივრად).

რაჭის მაზრისა—თ. დ. წულუკიძე (უწინდელი).

ბუბერნიის წინამძღოლად ერთის ხმით ამორჩეულ იქმნა დიმიტრი ყიფიანი.

ქუთათური მემატიანე.

ქალაქის რჩევის სხდომა

გუშინ-წინ მაისის 26-ს თბილისის კლუბის დარბაზში დილის 10 საათიდან 3-მდე იყო სხდომა ქალაქის რჩევისა წყალის გაყვანის შესახებ.

სანამ სხდომის აღწერას დავიწყებდეთ გავიხსენოთ მოკლედ წყალის გაყვანის საქმის ამბავი.

კარგა ხანია, რაც ქალაქის მმართველობა ჰფიქრობს წყალის გამყვანის გამართვას; ბევრი ფიქრისა და ძიების შემდეგ, შარშან იელისში ქალაქის რჩევამ გარდასწყვიტა, რომ წყალი ავჭალის წყაროებიდამ წამოვიყვანოთ და თუ ეს წყალი არ ეყო ქალაქს, მაშინ მტკვრიდანაც გამოვიყვანოთო, და წყალის გაყვანის შესახებ დაწვრილებითი პროექტის შედგენა მივანდოთ უსათუოდ რომელიმე ცნობილს სამზღვარ-გარეთელ ინჟენერსაო, უთუოდ იმ პირობით კი, რომ იგი თბილისში ჩამოვიდესო. ქალაქის ბამგეობამ პროექტის შედგენა მიანდო ფრანკუზის ინჟენერს მასკელეს, რომელიც ჩამოვიდა თბილისში, შეისწავლა ადგილობრივი პირობანი და შეადგინა დაწვრილებითი პროექტი. ამ პროექტით ავჭალის წყაროების წყალი უნდა შეიწყაროს მიწის ქვეშ გამართულის მილებით ერთს დიდს აუზში. ამ აუზთან გამართული იქნება ორთქლის მაშინები, რომელთა შემწეობით აუზში მოგროვილი წყალი წამოვა ქალაქისკენ და მოვა რკინის-გზის სტანციასთან, საცა მეორე კიდე დიდი აუზი იქნება გამართული. აქედან წყალი წავა ორ-ნაირად: ერთი მილით იგი გაყვანილ იქმნება არსენალისკენ—ავლაბრისკენ და სხვ., და მეორე მილით—ყუკიის ხიდით, გავა მტკვრის მარჯვენა მხარეზედ და ამ ნაირად წყალი მოიცლის მთელს ქალაქს. ამ პროექტით წყალის გაყვანა დაჯდება 791,000 მან., ქალაქს-კი აქვს ამ ჟამად ამ საქმისთვის ნასესხები მარტო 510,000 მან., ასე რომ 281,000 მან. კიდე დააკლდება. ქალაქის ბამგეობამ იფიქრა, იქნება წყალის ძალა (гидравлическіе двигатели) რომ ვიხმაროთ ორთქლის ძალის მაგივრად, უფრო იაფად დაგვიჯდესო და მიმართა ამ აზრით რუსის ინჟენერს ბ. ქონრადის, რომ ამას ეკისრა პროექტის შედგენა გიდრავლიუში ძალის მოხმარების შესახებ და არა ორთქლისა, როგორც მასკელეს პროექტშია, ხოლო დანარჩენი ნაწილი მასკელეს პროექტისა ქონრადის ხელ-უხლებლად უნდა დეეტოვებინა. ქონრადიმაც იკისრა და შეადგინა კიდეც პროექტი შესახებ წყალის მოხმარებისა. ამ პროექტით მტკვარზედ ავჭალის დაჰსწვრივ უნდა გაკეთდეს შლიუზები და როგორ ცარხი. ქონრადიმვე იანგარიშა, ყოველს წელს ამ შლიუზებზედ და არხზედ წავა 3000 მანათამდე ხარჯი, მაგრამ საზოგადოდ კი ამ პროექტით გამართვა წყალის-გამყვანისა ჯდება 75,000 მანათით იაფად, სანამ მასკელეს პროექტით, და ამას გარდა ყოველ-წელსაც 17,350 მანათით ნაკლები ხარჯი მოუნდება. ბუშინწინდელს რჩევის სხდომას საგნად ჰქონდა ამ ორივე პროექტების გარჩევა.

ქალაქის თავმა, მატინოვმა კრების გახსნისა თანავე სთქვა, რომ კარგა ხანიაო, რაც ჩვენა ვფიქრობთო წყალის გამოყვანის გამართვას. ბევრს ელაპარაკობთ, ბევრჯელ ვიკრიბებით ამის თაობაზე, და წყალის გაყვანა-კი ჯერ არსად — არისო: ასე რომ ბევრს კიდეც მოჰბეზრდა ეს საქმე და ჯავრობენ რა არის ამდენი ლაპარაკიო. მაგრამ წყალის გამყვანის გამართვა ადვილი საქმე არ არისო: მას უნდა დიდი ფიქრი, აწონ-დაწონვა, შესწავლა და ამისათვის ჩვენ გასამტყუნარნიც არა ვართ, რომ ადვილად არ მოვეკიდენით საქმესას. აჩქარების მაგიერ საფუძვლიანად შავისწავლეთ ეს საქმე და თუკი გავმართეთ წყლის გამყვანი, იმედია, ის ისეთი რამ იქნება, რომ იმისთანა არა თუ რუსეთის ქალაქებში დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქალაქებშიაც არ იქნებაო. ეხლა ბ. ტეხნიკი აგიხსეთ გეგმაზედ—როგორ არის მოსაზრებული წყალის გამყვანის გამართვა, და შემდეგ დავიწყოთ სჯაო.

ტეხნიკი გეგმაზე აუხსნის ბ ბ. ხმოსანთ დაწვრილებით ყველაფერს, რაც წყალის გაყვანას შეეხებოდა. რაკი ბ. ტეხნიკმა გაათავა ახსნა, რჩევა შეუდგა სჯასა და მოლაპარაკებას; რჩევა ორ ნაწილად გაიყო: ქალაქის ბამგეობა და ზოგიც ხმოსნები ამბობდენ, რომ ქონრადის პროექტის მიღება გვირჩევნია, რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო იაფად დაჯდება წყალის გამოყვანაო და წყალიც იაფად ეღირებაო. სხვა ხმოსნები-კი ამბობდენ: უმჯობესი იქნება, რომ მასკელეს პროექტი მივიღოთო და სასტიკადაც შევასრულოთო, რაც უნდა ძვირად დაგვიჯდესო, რადგანაც ბ. მასკელე ავტორიტეტია, განთქმული მთელს ევროპაში და ჩვენც არას წავაგებთ, რომ მივენდეთ მასაო, თორემ ქონრადის პროექტით ჩვენ სულ შლიუზების კეთებას და მტკვართან ბრძოლას მოუნდებით და არც წყალი გვექნებაო. ამაზედ ქალაქის ბამგეობის წევრმა ბ. იზმაილოვმა უპასუხათ, რომ მართალია ინჟენერი ბ. მასკელე დიდი ავტორიტეტია, მაგრამ ჩვენც შეგვი-

---

ძალის-ძალად ცხვრის წასასხმელად. ამ საძოვრებიდამ მთავარს საბალახო უნდა აეღო და კიდეც ეზრუნა, რომ ცხვარს თავისუფალი სვანები არ დასცემოდენ. ციოხი მოიღალა ამდენის დავი-დარაბით და თვითონ სთხოვა რუსის მთავრობას გაეხადა მისი სამთავრო თავის ქვეშევრდომად და რუსული სამმართველო დაეწესებინა. რუსის მთავრობამ მოლაპარაკება დაუწყო მას, თუ რამდენს აიღებდა ფულად თავის სამთავროს დათმობისათვის, მაგრამ მთავარს მოლაპარაკების გათავება აღარ დასცალდა და 1842 წელს გადაიცვალა, ჯერედ ისევ ყმაწვილი კაცი, და დაუტოვა თავის დედას დიღორს ხუთი მცირე წლოვანი შვილი: ალექსანდრე, ისლამი, თენგიზი (ნიკოლოზ) და ციოხი (მიხეილ). უფროსი მათგანი ალექსანდრე, რომელიც მთავარი უნდა ყოფილიყო, 14 წლისა იყო.

მთავრის სადგომი ფაარის გამაგრებული ციხე იყო; მაგრამ რადგანაც ციოხის სიკვდილის შემდეგ ამ ადგილში შავი ყვავილი გამოჩნდა, ამისათვის დიდი-დედამ თავის შვილის შვილები რძლითურთ სოფელს ხუდონში გაგზავნა სამეგრელოს ახლო და თვითონ-კი ციხეში დარჩა. თათარყანის სახლობის წარმომადგენელს ოთარ დადიშკელიანს, რომელიც ციოხის გვარეულობას მტრობდა, უნდოდა სისხლის აღება, ამისათვის თავის შვილის ჯამსუყით და კაცებით დაეცა ციხეს და უნდოდა მთლად ციოხის გვარეულობა ამოეწყვიტა; ის-კი აღარ სცოდნოდა, რომ ციხეში ციოხის დედის მეტი არავინ იყო. დიღორმა, რომელსაც მოულოდნელად დაესხენ თავს, გაშმაგებით იბრძოლა თავის კაცებით, მაგრამ ამაოდ, ციხეს ცეცხლი მოუკიდეს და მოხუცებული დიღორი შიგ დაიწვა. ოთარმა დაიჭირა ციხე და რვა თვეს განაგებდა, სანამ მცირე-წლოვანთ ალექსანდრემ არ განდევნეს იგი. რა მონაწილეობას იღებდა მთავრობა ამ ბრძოლაში, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ სჩანს კი, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რადგანაც ოთარი და მისი შვილი ჯამსუყი ხელ-უხლებელნი დარჩენ. მთავრობის მონაწილეობა მხოლოდ იმაში სჩანს, რომ განსვენებული მთავრის მეორე შვილი ალექსანდრე პეტერბურგში გაიგზავნა და კეთილ-შობილთა ჯარში გაიმწესა.

ალექსანდრეს ბედ-იღბალში-კი ყველანი იღებდენ მონაწილეობას. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა და მისი ქვრივი და, ბრიბოედოვისა ძალიან უალერსებდენ მას, როდესაც იგი ზუგდიდში მიდიოდა, ტანცაობას, რუსულს ლაპარაკს და წერას ასწავლიდენ, მისი საქმის გამო ცდილობდენ თბილისში, სადაც თვით ალექსანდრეც წავიდა. ვორონცოვმა, რომელიც 1845 წელს მთავარ-მმართებლად დაინიშნა, ალექსანდრე ალერსიანად მიიღო და აღუთქვა, რომ როდესაც სრული წლოვანი გახდები ხემწიფესთან ვიშუამდგომლებ მთავრად დაგამტკიცოსო; ვორონცოვის ცოლმა და გრაფინია შუაზელმაც მონაწილეობა მიიღეს ალექსანდრეს ბედში და დიდის ალერსით ეკცეოდენ.

მაგრამ ამ დროს თავისუფალი სვანეთის წარმომადგენელნი მოვიდენ თბილისში და თხოულობდენ, რომ რადგანაც დადიანებისა და დადიშკელიანებისაგან შეწუხებულნი ვართ რუსეთის ქვეშევრდომად მიგვიღეთო. ვორონცოვმა თავისუფალს სვანეთში პოლკოვნიკი ბორტოლომეი გაგზავნა.

ბარტოლომეი არხეოლოგი და ნუმიზმატი იყო; მან ამ ახალს ქვეყანაში უხვი მასალა იპოვნა და შეადგინა სვანეთის აღწერა ეტნოგრაფიულის და არხეოლოგიურის მხრით. მას თანაშემწედ მღვდელი ქუთათელაძე ჰყავდა, რომელსაც ზოგიერთა სოფელში დაცემული ქრისტიანობა აღედგინა. რომ ამ ქვეყანაში პირველსავე საუკუნოებში ქრისტიანობა ყოფილა გავრცელებული, ამას ცხადად ამტკიცებენ ნანგრევნი უძველესთა ტაძართა, რომელთა აშენებასაც თამარ დედოფალს აწერენ. დეკანოზებს ჯერ კიდევ არ დაეწყებოდათ ლოცვები და საღმრთო წესები, თუმცა საკმაოდ კი გადაესხვაფერებინათ; ხალხს გულით უნდოდა ქრისტიანობას დაჰბრუნებოდა, ამისათვის როდესაც იქ ქუთათელაძე მივიდა, ისე მიიღეს, როგორც მოციქული და დეკანოზები მისი მოწაფენი შეიქმნენ. ქუთათელაძემ ჩააგონა მათ დაევიწყათ საზიზღარი ჩვეულება—ახლად დაბადებული ქალების ხოცვა. ბარტოლომეის ადგილობრივაც შესჩივლეს მთავრების მხრით შეწუხებაზედ, რისათვისაც მან ითხოვა მთავრობის წინაშე ამ ქვეყანაში საკუთარი საბოქაულო დაეწესებინათ და ეს თხოვნაც მთავრობამ მალე შეასრულა.

ბარტოლომეის შემდეგ რუსის მთავრობა თითქმის ხუთჯერ შეიქმნა იძულებული ჯარი გაეგზავნა თავისუფალს სვანეთში. რაც რუსეთმა მათზედ ორმოცის წლის განმავლობაში დახარჯა და რაც თვითონ სვანებმა თავიანთ მეზობლებს ქონება მოსტაცეს, ყველა ეს რომ ერთად ვიანგარიშოთ, სწორედ უფრო იაფად დაჯდებოდა იმ სამი ათასი თავისუფალი სვანებისთვის დიდი სახლი ეყიდნა მთავრობას და იგინი შიგ ეცხოვრებინა.

განსაკუთრებით უფრო სასაცილოა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თ. ბ. რ. ერისთავის სარდლობით ჯარის შესვლა თავისუფალს სვანეთში 1859 წელს.

როდესაც თავისუფალი სვანები ჯარმა იძულებულნი გახადა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მეზობლები, რომლებისთვისაც სარჩო-საბადე-

ძლიან ვიქონიოთ საკუთარი მსჯელობა. ქალაქის გამგეობა იმისათვის ამჯობინებს მ. კონრადის პროექტს, რომ ჩვენ უფრო შევიძლებთ იმის შესრულებას, რადგანაც უფრო იაფად დაჯდება და წყალიც იაფად ეღირებაო: მერე ყოველს წელსაც 17,000 მ. ნაკლები ხარჯი გვექნებაო. მართალია, კონრადის პროექტით შლიუზების გამართვა მოგვინდებაო, მაგრამ არც ესენი დაგვიჯდება ძვირადაო. ზოგნი გვითითებენ ყარაიის არხზედ: აი, რამოდენა ხარჯი მოუვიდათ და ეხლაც ყოველს წელს მოსდითო; ყარაიის მაგალითმა ჩვენ ვერ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც იქ მტკვარს უფრო მდაბალი და ფხვიერი ნაპირები აქვს, და აქ კი, საცა ჩვენ შლიუზები და არხი უნდა გავმართოთ მტკვარს მაღალი და მაგარი ნაპირები აქვს და თავის დღეში, რაც უნდ ადიდდეს—წყალი იმ ნაპირებს ვერ წაუვა. ამას ამტკიცებენ ნემენცების სარწყავი არხი და წისქვილები კერძო პირებისა, რომელნიც იქ ქართველთ მეფეების დროს გაუმართავთ და დღევანდლამდე მუდმივად მუშაობენო; მართალია, იქნება შლიუზებს ყოველ წელს გასწორება მოუნდეს, მაგრა არც ამაზე მოგვივა დიდი ხარჯიო.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს ამ საგნის თაობაზედ, ყველამ სთქვა რაცკი სათქმელი ჰქონდა, და შემდეგ კენჭის ყრით რჩევამ 31 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 11 გადასწყვიტა, რომ კონრადის პროექტი მივიღოთო.

შემდეგ ამისა რჩევამ მოილაპარაკა ზოგიერთ წვრილ კითხვებზედ, რომელნიც შეეხებოდენ ისევ წყალის გაყვანის საქმეს და ამოირჩია კომისია, რომელმაც უნდა დეეხმაროს ქალაქის გამგეობას წყალის გამოყვანაში.

შინაური ქრონიკა

— ამ დღეებში ყარაიის რკინის გზის სტანციის ახლოს ავაზაკებს რკინის გზის ორი მოსამსახურე მოუკლავთ, თითო მათგანი ორმოს ადგილას იყო ხანჯლით დაჰრილიო. ამ მკვლელობას ისეთი თავზარი დაუცია რკინის გზის მოსამსახურეებისათვის, რომ ბევრი მათგანი თავიანთ თანამდებობან სტოვებენო. („კავკასი“)

— გაზეთს „მელუს“ სწერენ ქუთაისიდამ, რომ ქალაქიდამ ხუთს ვერსზედ მოშორებით ახალი თვისების მარმარილოს მადანი ამოჩენილა.

— ყაჩაღი ქერიმ-ისკანდერ-რამაზან ოღლი ხუთის კაცით შუადღისას დასცემია ყაზახის მაზრის სოფ. კრახქესმანის მამასახლისს, რომელსაც ხსენებული ყაჩაღი აბრალებს თავის მამის მოკვლას. მამასახლისი მინდორში ყოფილა და 7 თუ 8 კაცი ხლებია თან; ყაჩაღს ქერიმს ჯერ თოფი უსროლია მამასახლისისათვის და წაუქცევია იგი, მერე მივარდნია ხანჯლით და რამდენჯერმე დაუჰრია. მამასახლისთან მყოფი კაცები მაშინვე გაქცეულან.

— რაჭის მაზრის სოფ. ქვედიდამ სწერენ გაზეთ „კავკაზს“, რომ იქ უპოვნიათ მადანი, რომელშიაც, როგორც ადგილობრივი მცოდნე პირები ამტკიცებენ, ოქროც ურევიაო. ნიმუშები გასასინჯად გაუგზავნიათ.

— არა ერთხელ დაუჩივლიათ თბილისელს მეკალბასეებს თავიანთ ხელობის მოძმეებზედ, რომელნიც კალბასს გასაყიდლად ატარებენ, რომ ისინი კალბასს აიაფებენ, რადგანაც ცუდის თვისების ხორცისგან აკეთებენო. აი ერთი ამბავი, რომლითაც კალბასის გაიაფების მიზეზი აიხსნება. ორი მეკალბასე-დამტრებელი მცხეთაში წასულან როდესაც იქიდამ ფეხით დაბრუნებულან მათ დაუნახავთ ურემი, რომელშიაც ორი კამეჩი ბმულა. რადგანაც ურმის პატრონი არა ჩანდა, ისინი დამსხდარიყვნენ ურემზედ და თბილისში ჩამოსულიყვნენ. აქ დაეკლათ კამეჩები და კალბასები გაეკეთებინათ; ტყავი ვიღაც ტყავით მოვაჭრე ნიკოსთვის მიეყიდნათ ერთმა ყასაბმა, რომელიც შველოდა მათ კამეჩების დაკვლის დროს, გასცა იგინი, რადგანაც დაკვლის ფასი ნაკლები მიეცათ. თითქოს განგებ ამ დროს შეხვედროდა ყასაბს კამეჩების პატრონი, რომელიც ქალაქში ჩამოსულიყო თავის საქონლის მოსაძებნად. ყასაბმა მას ყოველისფერი უამბო. პატრონმა ურემი კი დაიბრუნა, მაგრამ კამეჩები კი ვეღარა. დამნაშავენი პასუხის გებაში არიან მიცემულნი. („კავკაზი“)

— კუკიაში, ნემენცების საყდრის ქუჩა (Кирочная) ის [illegible] გაფუჭებული, [illegible] მასზედ სიარული. ამ ქუჩაზედ გამოდის სარწყავი არხი, რომელიც აქამდის დაფარებული იყო ქვებით; ეხლა კი, კარგა ხანია რაც ეს ქვები ჩაიმტვრა და არხი მთლად ახდილია. მივაქცევთ ქალაქის გამგეობის ყურადღებას ამ გარემოებაზედ.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 25-ს.

პეტერბურგი. აბდურაჰმანის მოკვლის და ავღანელების აჯანყების შესახებ დაყრილი ხმა ჯერ-ჯერობით არა მართლდება.

ლონდონი. გლადსტონმა განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ რუსეთი და ინგლისი მორიგდენ შუამავალის ამორჩევის შესახებო, მაგრამ ეს მორიგება ჯერ კიდევ არ არის ფორმალურად შედგენილი, და აგრეთვე არც არავისთვის უთხოვნიათ შუამავლობა.ო

დღეს მ ავიდა ლონდონში გენერალი ლემსდენი.

ინგლისის მთავრობას ჯერ არავითარი ცნობები არ მიუღია აბდურაჰმანის მოკვლის შესახებ.

ათინა. კრიტის კუნძულზედ არეულობა მოხდა.

ბელი მოეტაცნათ, თავადმა ერისთავმა მრისხანე სიტყვები უთხრა მათ; მათაც ყურადღებით მოისმინეს მისი ლაპარაკი და როდესაც გაათავა სუყველამ დაიჩოქეს.

— ეს რას ნიშნავს?—ჰკითხა ერისთავმა:—რა გინდათ მითხრათ?

— ჩვენა გთხოვთ,—მიუგეს მათ—გვაჩუქო რამ, როგორც საწყალს ხალხს.

მოდი და ნუ გაიცინებ ამ გარემოებაზედ: მათი ქვეყნის ბუნება ისე მწირი იყო, რომ იძულებულნი იყვნენ სარჩო-საბადებელი თავიანთ მეზობლებისათვის მოეტაცნათ, შემდეგ მათ ძალას ატანდენ მოტაცებული საქონელი მეზობლებისათვის დაებრუნებინათ და იგინი კი კიდევ საჩუქარს თხოულობდენ.

ამ ამბავში გაზვიადებული არაფერია, მე გამოვსთქვამ ჩემს აზრს ამ ქვეყნის შესახებ იმისთვის რომ ჩვენმა უხეირო მოქმედებამ გამოიწვია ის სამწუხარო ამბავი, რომელიც შემდეგ ქუთაისში მოხდა.

ბარტლომეის შემდეგ რამდენიმე წელიწადი რომ გავიდა, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კოლიუბაკინიც წავიდა თავისუფალ სვანეთში; მას უნდა გამოეკვლია, თუ როგორ უფრო უმჯობესი იქნებოდა ამ ახლად შემოერთებულის ქვეყნის მომართვა. კოლიუბაკინმა არა ვითარი აღწერა თავის მოგზაურობისა არ დაგვიტევა, ჩემთვის კი ბევრი სასაცილო ამბები უთქვამს თავის მოგზაურობიდამ. სხვათა შორის, რომელსაღაც საზოგადოებას არ უნდოდა იგი გაეშვა იმისთვის, რომ მამასახლისისათვის ხელსახოცი ეჩუქებინა და სხვებისათვის კი არა; სანამ სხვებსაც არ აჩუქა — არ გაუშვეს; მეორე საზოგადოებამ რაც შაქარი ჰქონდა სრულიად მოჰპარა, ასე რომ ჩაის სმა უშაქროდ მოუხდა. კოლიუბიაკინს თანა ჰყავდა ფრანცუზი გრაფი როზმურდიუკი, რომელიც ამტკიცებდა, რომ თავისუფალი სვანები ჯვაროსნების ჩამომავალნი არიანო.

სანამ ჩვენ თავისუფალ სვანეთის გზის გაკეთებაზე ვფიქრობდით, კონსტანტინე დადიშკელიანი სრული წლოვანი გახდა და ცოლად კნეინა კესარია შარვაშიძის ქალი ადილხანი შეირთო და მთავრად დამტკიცდა.

იმაზედ უკეთესი რა იქნებოდა, რომ მთავრობას მონაწილეობა მიეღო თავისუფალ სვანეთის ბედში, რომელიც შეწუხებული იყო დადიშკელიანებისაგან და გაეუქმებინა სათავადო სამთავრო, რაზედაც ლაპარაკი თვით განსვენებულმა მთავარმა ციოხმა აღძრა; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ჩვენ ყოველთვის ვიგვიანებთ ხოლმე. კონსტანტინე დადიშკელიანს ჯერ შინაურს მშვიდობიანობაზედ უნდა ეფიქრა და მერე ისევ საბალახოზედ. მისი ბიძა ოთარი, რომელმაც დიდი-დედა დაუწვა, გადაიცვალა და მის შვილთან ჯამსუყთან მოლაპარაკება გაიმართა, რისათვისაც დროებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა; საბალახოს საქმე კი ასე ადვილად არ გადასწყდებოდა და კონსტანტინე ორ-ცეცხლ შუა ჩავარდა: მიხეილ შარვაშიძის და დავით დადიანისა, რომელნიც ერთმანეთის მოსისხლე მტერნი იყვნენ. დავით დადიანი გულ-ცივად ექცეოდა კონსტანტინეს მას შემდეგ, რაც მან კესარია შარვაშიძის ქალიშვილი შეირთო; დანათესავებამ მიხეილის გული ვერ მიიზიდა და იმავე საბალახოსთვის კონსტანტინეს მტრობას არ ულევდა.

ორი მთავრის მიხეილ შარვაშიძის და დავით დადიანის შორის მტრობა არ ილეოდა სამურზაყანოს გულისათვის, რომელიც ორივეს უნდოდათ თავის საკუთრებად გაეხადნად. თავადმა ვ. ო. ბებუთოვმა, თავადის ვორონცოვის მინდობილობით, მოარიგა ორივე მთავარი ისე, რომ სამურზაყანო რუსეთის მთავრობას დაეთმო და მათ ფული მიეცათ. ეს საქმე ისე საჩქაროდ და ხერხიანად გარიგდა, რომ ორივე მხარე მხოლოდ მაშინ მიხვდენ თავიანთ შეცდომას, როდესაც საქმე კიდეც გათავებული იყო. ამის შემდეგ მთავრები უფრო ერთიერთმანეთის მტრები გახდენ, რადგანაც სამურზაყანოს დაკარგავს ერთიერთმანეთს აბრალებდენ.

დავითს პირად არ ვიცნობდი. როდესაც კავკასიაში მიველ, იგი ცოცხალი აღარ დამხვდა და იმის შესახებ ცნობებს საქმეებიდამ და სხვების ნალაპარაკევიდამ ვტყობულობდი, მიხეილს კი პირად ვიცნობდი და კარგადაც ვყავდი მიღებული. იგი შესანიშნავი კაცი იყო. თავის სიყმაწვილე თბილისში გაატარა, მაშინდელს კვალობაზედ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, რუსულად კარგად ლაპარაკობდა და ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, როდესაც თავის ძმის დიმიტრის შემდეგ მთავრად გახდა. პირველად იგი ძალიან ერთგული იყო რუსეთის მთავრობისა; მისი ერთგულება არ დააფასა მთავრობამ — ისიც განზედ გადგა და შეიქმნა მტერი რუსის მთავრობისა, რადგანაც იგი მის მოსისხლე მტერს ჰასან-ბეის ხელს უწყობდა. მიხეილს დიდი გავლენა ჰქონდა კავკასიის მთიულებზედ, რისაგამოც ჩვენთვის ძალიან საჭირო კაცი იყო. შემდეგ ძალიანაც მიუალერსა რუსის მთავრობამ, ჩინები და ორდენები ბევრი მისცა, მაგრამ გვიან-ღა იყო, მისთვის ჩინებს და ორდენებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ. გენერალ-ადიუტანტი და ალექსანდრეს კავალეროსანიც გახდა, მაგრამ მუნდირის ჩაცმა მაინც სძულდა და თუ ჩაიცვამდა ისიც მაშინ, როდესაც მთავრობასთან გამოცხადდებოდა ხოლმე. მიხეილი თავის ხასიათით ივანე მრისხანეს ჰგავდა, მასაც ჰყავდა თავის სკურატოვი ჰასან მარღანია, რომელიც ყოველსავე მის სურვილს სასტიკად ასრულებდა.

(გაგრძელება შემდეგ)

მაისის 26-ს.

პეტერბურგი. რუსის ჯარებისადმი ბძანებაში გამოცხადებულია, რომ დიდი თავადი ვლადიმერ ალექსანდრესძე წაბძანდება პეტერბურგის და მოსკოვის სამხედრო ოლქთა ჯარების დასათვალიერებლად. გუშინ დიდი თავადი წაბძანდა კიდეც გარშავის რკინის გზით. მას თან ახლავან შტაბის უფროსი ბობრიკოვი და სხვა პირები.

დაბოლოვებით შეიმუშავეს წესდება ამუდარიის და არალის ზღვათა ნაოსნობის ამხანაგობისა. ამხანაგობას მუქთად ეთმობა გემები არალის ფლოტილისა და მოვალეა იქონიოს არა ნაკლებ ხუთის გემისა და ოცი ნავისა (барка), რითაც ამხანაგობამ უნდა ზიდოს თვეში არა ნაკლებ 100,000 ფუთი საპალნისა და ატაროს 600 კაცი.

გაზეთი „ვოსხოდი“ არდგევს იმ ხმას, ვითომც სახემწიფო რჩევაში შეტანილ იქმნა გრაფი პალენის კომისიისაგან შემუშავებული პროექტი შესახებ გიმნაზიებში კურს-შესრულებულ ებრაელთა უნივერსიტეტში შესვლისა.

გაზეთებში სწერია, რომ გამოცხადებული ცვლილებანი ტამოჟნის ტარიფისა შეეხებიან მარტო ზოგიერთ საგნებს, რომელთაც ადგენთ მომატებული გადასახადი; ხმა არის, რომ დაწესებულ იქმნება დამატებითი გადასახადი—მანათზედ აბაზი ყველა შემოტანილ საქონელზედ, — გარდა დამტკიცებული ტარიფის მეორე მუხლში მოხსენებულის საგნებისა, რომლისთვისაც უნდა გადაიხადონ 10 კაპ. და აგრეთვე გარდა მესამე მუხლში მოხსენებულ საგანთა. ამ უკანასკნელებს არავითარი გადასახადი არ დაედებათ ეს წესები. პირველ იანვრიდამ შევა ძალაში.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 21.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—24 3/8 24 17/32 24 7/16
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	—209 1/4, 210 3/4 210
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე —	— 257 5/8, 258 1/2
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 5 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები	— 8 მ. 4 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი—	— 5 3/4 და 6 3/4 %
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა —	— — 99 1/4 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 3/4 მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 1/2 მ. გაუ.
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 36 კ. გაუ.
მეხუთე გამოც. —	— 97 1/2 მ. გაუ.
5% ალმას. სესხ. 100 და 1000. —	— — 95 3/4 მ. გაუ.
მეორე გამოც. —	— 94 3/4 მ. გაუ.
მესამე გამოც. —	— 95 მ. 12 კ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	226 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	202 1/4 მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— 169 1/2 მ. გაუ.

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ.

ფურცლები— — —	. . . . .
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	. . . . .

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საჩირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მეწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, სუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ჩირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ოლდფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზე და 35 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო საშურამდინ
3 საათ. და 15 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე და 45 წამზე ღამით.
(ყოველ-დღე)

8 საათზედ 24 წამ. დილით.

ბაქოდამ მოძავალი შემოდის თბილისში
დილის 8 საათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მაისიდამ 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა —	—1 გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა--	—1 გ. 2 1/2
მეორისა — —	—1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი სარისხის	—1 გ. 4 1/2
მეორისა — —	—1 გ. 3 კ.
მესამისა — —	—1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის პური:

პირველის სარის ლავაში	1 გ. 4 1/2
მეორის სარის. ლავაში	1 გ. 3 1/2
მესამისა — —	—1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის სარისხისა—	1 გ. 8 კ.
ძეორისა — —	—1 გ. 7 კ.
სუკი— — —	—1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი—	—1 გ 9 კ.

ღორის ხორცი:

პირველის სარისხისა	1 გ.
ძეორისა —	—1 — გ.

განცხადებანი

„ივერიის“ რედაქციისაგან

რადგანაც, რედაქციისაგან დამოუკიდებლის მიზეზებისა გამო „ივერიის“ აპრილის წიგნმა დაიგვიანა, ამისათვის აპრილისა და მაისის წიგნი ერთად გამოვა ამ თვის დამლევს.

რედაქტორი ი. ჭავჭავაძე

ვუკიაში ანდრეევის ქუჩაზე ისყიდება ცარიელი ადგილი, ანუ შენობით. ფასი და პირობა გასყიდვისა შეიძლება შეიტყონ, ლაბორატორნის ქუჩაზე—სახლი № 62. ბრიგ. ყარაევის სახლის პატრონისაგან. (2—1)

(Ц. 15375.). (50—1)

მზარეული

საუცხოოდ მცოდნე თავის საქმისა ეძებს ადგილს.

თანახმაა ქალაქიდამაც გავიდეს.

ადრესი: დ. სარაჯოვის სახლების შეიცარათან. (5—4)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე,** ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი, თბილისის-და-რეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

(25—21) ბ. ქართველიშვილი.

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მთიელებები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფიდდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამრილეები, გარჩიცის სუფრკვები, ბრობკის ამოსადები, ბრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღკირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქანიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიკები, ზარიადები, კაბსიულები, საფუსკები, ნიჩბები, კატერბრუტი, საბნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჯურჯელი, მურაბები, კამფეტები, კიბულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები, ბომბზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—25)

ცნობილი თავის თვისებით განარიდოს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფეხის თითებს.

გალვანინი

ისყიდება ევთიექებში, აგრეთვე ევროპის დიდი სახემწიფოს ყველა ქალაქების მეწვრიმალეებთან. უმთავრესი დეპო იმოოფება ვარშავაში თვით გამომგონელს, ევთიაქის მეექონე ფორმაციის მაგისტრს ვ. კარპინსკისთან, ელექტორალის ქუჩაზედ, № 350. დიდი კოლოფი **გალვანინისა** ღირს ვარშ ვაში 50 კაპ., პატარა 30 კაპ.

ერიდეთ სიყალბით გაკეთებულს

და მოითხოვეთ, რომ ყველა კოლოფთან დარიგების ფურცელი იყოს, თუ რომელ ინსტრუქციის გამოფენის მედალი.

ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი.
(10—5)

Доз. ценз. Тифлисъ, 27 Мая 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.